მედიის განვითარების ფონდის ყოველკვირეული გამოცემა

MDF მედიის განვითარების ფონდი

# ბიულეტენი №16

29. 07 –15.08

მონიტორინგი

## მონიტორინგის მთავარი მიგნებები

წინამდებარე მონიტორინგი 29 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით პერიოდს ასახავს, რა დროსაც შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- გასული პერიოდის აქტუალური თემები ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი 17 მაისის აქციის დარბევის საქმეში მონაწილე სასულიერო და სამოქალაქო პირების სასამართლო პროცესი; ასევე საპრეზიდენტო არჩევნების დისკურსში ქრისტიან-დემოკრატების მიერ ინიცირებული კამპანიის - "არა - ერთსქესიან ქორწინებას" გაშუქება იყო;
- სასამართლო პროცესი სატელევიზიო მედიაში კვლავ სასულიერო პირთა და მათ მხარდამჭერთა პოზიციების ცალმხრივი წარმოჩენით იყო ნიშანდობლივი, ხოლო ბრალდების მხარე ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში საერთოდ არ ფიგურირებდა. არცერთ მედია საშუალებას არ გაუვრცელებია იმ ეპიზოდის ამსახველი კადრები, რომელშიც ერთ-ერთი სასულიერო პირი გაამართლეს; ხოლო ზოგიერთმა საინფორმაციომ (მე-9 არხი, კავკასია) სარედაქციო ტექსტში არასრულყოფილად გადმოსცა აღნიშნული ეპიზოდი, როცა მღვდლის მხრიდან მხოლოდ გინებაზე გაამახვილა ყურადღება და არა მუქარაზე, როგორც ეს გავრცელებულ ვიდეოკადრში იყო ასახული ("მოგკლავთ, თქვენი…");
- ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ ქრსტიან-დემოკრატთა კამპანია მედიამ უკრიტიკოდ გააშუქა;
- რასისტულ გამოხატვას ჟურნალისტთა (გაზეთები "კვირის ქრონიკა", "ასავალ-დასავალი") მხრიდან ჰქონდა ადგილი;
- ანტითურქულ განწყობებს არა მხოლოდ კონკრეტულ ინდივიდებთან მიმართებით, არამედ ადიგენის სოფელ ჭელაში მინარეთის აღმართვასთან

გაგრძელება გვ. 2

ერთსქესიანთა ქორწინების თემა საარჩევნო დისკურსში გვ. 4



ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **USAID** მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია **MDF** და ის შესაძლოა, არ ასახავდეს **USAID**-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

## მთავარი თემები


| | |
|---|---|
| MDF-ის განცხადება | 2 |
| სასულიერო პირების სასამართლო პროცესი | 3 |
| ერთსქესიანთა ქორწინების თემა | 4 |
| რასისტული გამოხატვა | 5 |
| მიწის საკუთრების შეზღუდვა | 6 |
| რელიგია | 7 |
| სექსუალური უმცირესობები | 8 |
| გენდერული თემატიკა | 9 |


unag საქართველოს გაეროს ასოციაცია

USAID ამერიკელი ხალხისგან

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

## მონიტორინგის მთავარი მიგნებები

დასაწყისი გვ.1

დაკავშირებითადაც ჰქონდა ადგილი (ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება; გაზეთი “ასავალ-დასავალი”);

- მოქალაქეობის ნიშნით მიწის გასხვისების შეზღუდვაზე დისკრიმინაციულ განცხადებებს სასულიერო პირების (დავით ისაკაძე, მართლმადიდებლე მშობელთა კავშირი) და პოლიტიკოსების (კობა დავითაშვილი, პრეზიდენტობის კანდიდატი) მხრიდან ჰქონდა ადგილი. ამ თვალსაზრისით მკაფიოდ ჩამოყალიბებული სარედაქციო პოზიცია გამოავლინა გაზეთმა “რეზონანსმა”, სადაც მეტწილად უცხოელებზე მიწის გასხვისების შეზღუდვის მხარდამჭერი ხედვა დომინირებს როგორც სარედაქციო, ასევე საავტორო სტატიებსა თუ ცალკეულ პირთა მიმართვებში და ნაკლებად არის წარმოდგენილი განსხვავებული აზრი;
- ტელეკომპანია “იმედის” სიუჟეტი მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელშიც ირანელ მოქალაქეს ედება ბრალი, რელიგიურ ნიადაგზე სიძულვილის გაღვივებად შეიძლება მივიჩნიოთ (იხ. MDF-ის განცხადება). მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომპანია სოციალურ ქსელებში გამოეხმაურა “ქართველ მუსლიმთა კავშირის” მიმართვას, “იმედმა” თანაზომადი ფორმით, სატელევიზიო ეთერით არ მოახდინა გავრცელებული არასწორი ინფორმაციის შესწორება, როგორც ეს ქცევის კოდექსის ცალკეული ნორმების საფუძველზე MDF-ის 3 აგვისტოს განცხადებაში იყო აღნიშნული;
- პოზიტიური იყო “მაესტროს” დაინტერესება, ინციდენტების შემდგომ სოფელ სამთაწყაროში მუსლიმთა ტრადიციული ლოცვის მიმდინარეობით; ასევე მაესტროსა და იმედის სიუჟეტები რამაზანბაირამის მილოცვასთან დაკავშირებით;
- სექსუალური უმცირესობების თემა აქტუალური კვლავ პოლიტიკურ კონტექსტში იყო. ნაციონალური მოძრაობასთან ერთად ამ თემაზე პუბლიკაციებში რესპუბლიკელებიც აქტიურად ფიგურირებენ;
- გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას როგორც რესპონდენტთა (ზაქარია ქუცნაშვილი, ქართული ოცნება), ასევე ჟურნალისტის (გაზეთი “კვირის ქრონიკა”) მხრიდან ჰქონდა ადგილი.

## MDF-ის განცხადება “ქრონიკის” 1 აგვისტოს სიუჟეტთან დაკავშირებით

3 აგვისტო, 2013

მედიის განვითარების ფონდი შეშფოთებას გამოთქვამს 1 აგვისტოს ტელეკომპანია „იმედის“ 8 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტის გამო, რომელშიც ბათუმში მომხდარი მარიამ კოჩალიძის მკვლელობის ვერსიად რელიგიური მოტივაციაა შემოთავაზებული. რედაქცია ყოველგვარი გადამოწმების გარეშე ავრცელებს გარდაცვლილის დედის ემოციურ ფონზე გაკეთებულ განცხადებას, თითქოსდა მკვლელმა მარიამის მსხვერპლთშეწირვა მოახდინა.

მისასალმებელია, რომ 2 აგვისტოს ტელეკომპანია იმედი გამოეხმაურა „ქართველ მუსლიმთა კავშირის“ მიმართვას, რომელიც მედია საშუალებას მოუწოდებდა, თავი შეეკავებინა გადაუმოწმებელი, ცალმხრივი მასალის გავრცელებისაგან, რომელიც სიძულვილის გაღვივებას და ისლამის მიმართ ნეგატიური სტერეოტიპების დამკვიდრებას უწყობდა ხელს. თუმცა, ჩვენი აზრით, ტელეკომპანიის რეაგირება მომხდართან დაკავშირებით

არასაკმარისი იყო შემდეგ გარემოებათა გამო: ტელეკომპანია „იმედი“ Media.Ge-სთვის მიწოდებულ განცხადებაში ემიჯნება სიუჟეტში გასულ მარიამ კოჩალიძის ოჯახის წევრების გამოთქმულ ვარაუდს და აღნიშნავს, რომ იგი არ წარმოადგენს ტელეიმედის პოზიციას. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ „საინფორმაციო გამოშვების წამყვანის და ჟურნალისტის მხრიდან არ ყოფილა ამ ვერსიის ინტერპრეტაციის მცდელობა“, რაც ჩვენი აზრით, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან „ქრონიკის“ 8 საათიანი გამოშვების ანონსში საინფორმაციოს წამყვანი ყოველგვარი წყაროს მითითების გარეშე აცხადებს შემდეგს: „მსხვერპლთშეწირვის რიტუალი და კონფლიქტი რელიგიურ ნიადაგზე. საქმის ახალი დეტალები ბათუმიდან“, რითაც რედაქცია გამოძიების პროცესში მყოფ ინციდენტს თავად აფასებს რელიგიურ კონფლიქტად, ხოლო მსხვერპლთშეწირვას დადასტურებულ ფაქტად გვთავაზობს.

ტელეკომპანია იმედმა დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 (1, 2), მე-14 მუხლების დებულებები, რაც მაუწყებელს ავალდებულებს, უზრუნველყოს ინფორმაციის წყაროს და ფაქტების სიზუსტე, არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება; ასევე დაირღვა მე-18 (2) მუხლის მოთხოვნები, რომლის

გაგრძელება გვ. 14

## სასულიერო პირების სასამართლო პროცესი

I არხი, რუსთავი 2, იმედი, მე-9 არხი, კავკასია, 1 აგვისტო


ანთიმოზ ბიჩინაშვილი 17 მაისის აქციაზე

17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის დარბევის საქმეში მონაწილე 2 სასულიერო და 3 სამოქალაქო პირის მიმართ 1 აგვისტოს სასამართლო პროცესი სატელევიზიო მედიამ კვლავ ძირითადად დაცვის მხარის და პროცესზე მისული სასულიერო პირების მხარდამჭერთა პოზიციების დომინირებით გააშუქა. გამონაკლისი იყო მხოლოდ ტელეკომპანია "იმედი", სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება არქიმანდრიტ ანთიმოზ ბიჩინაშვილის მიმართ სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტასა და სხვა პირთა მიმართ პროცესის 15 აგვისტოს განახლების შესახებ 8 საათიან საინფომაციო გამოშვებაში მცირედი სინქრონის სახით, ყოველგვარი კომენტარების გარეშე გაშუქდა.

ყველა არხმა აღნიშნა, რომ ანთიმოზ ბიჩინაშვილის მიმართ საქმეში არსებული მასალები მოსამართლემ არასაკმარის მტკიცებულებად სცნო, ხოლო მე-9 არხმა და კავკასიამ სარედაქციო ტექსტში აღნიშნეს, რომ საქმეში არსებული ვიდეო მასალა სასულიერო პირის გინების ამსახველ კადრებს შეიცავდა. არცერთ მედია საშუალებას არ გაუვრცელებია ამ ეპიზოდის ამსახველი კადრები, სადაც ანთიმოზ ბიჩინაშვილის მხრიდან არა მხოლოდ გინებას, არამედ მუქარასაც აქვს ადგილი ("მოგკლავთ, თქვენი…"), რათა მაყურებელს თავად შეეფასებინა პროცესზე წარმოდგენილი არგუმენტების დამაჯერებლობა.

მედია საშუალებებს არც ბრალდების მხარის პოზიცია წარმოუდგენიათ სიუჟეტში და არ დაინტერესებულან, აპირებდა თუ არა სახელმწიფო ბრალდება ერთი პირის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის შემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას.
http://www.myvideo.ge/?video_id=2106413 ; http://www.myvideo.ge/?video_id=2109909; http://www.myvideo.ge/?video_id=2106422; http://www.youtube.com/watch?v=tWdjeVMHwWk; http://www.myvideo.ge/?video_id=2109723; http://www.myvideo.ge/?video_id=2106422

ასავალ-დასავალი, 29 ივლისი- 4აგვისტო

ნინო ბურჯანაძე, სახალხო კრების საპრეზიდენტო კანდიდატი: *"სოლიდარობას ვუცხადებ სასულიერო პირებს, რომლებმაც 17 მაისს, შესაძლოა, ზედმეტი ემოცია გამოხატეს, მაგრამ მათი მხრიდან იმის მესამედიც არ ყოფილა, რაც 26 მაისს ხალხის წინააღმდეგ მოხდა."*
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/980/980.pdf

ალია, 2-5 აგვისტო

ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი: *"საქმე აღიძრა უდანაშაულო სამღვდელოების წინააღმდეგ. ეს იყო პოლიტიკური შეკვეთა და მოდიოდა პარლამენტის თავმჯდომარის ოჯახიდან - ხიდაშელი-უსუფაშვილისგან. ამ პროცესში ასევე ღიად ერეოდნენ გიგა ბოკერია და მისი მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი."*

ასავალ-დასავალი, 29 ივლისი- 4აგვისტო

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *"პირდაპირ ვთქვათ, მართლმადიდებელი მღვდლების გასამართლება პედარასტებისა და მათი მხარდამჭერების შეკრების უფლების დარღვევის ბრალდებით, არა უბრალოდ აბსურდი, არამედ ნამდვილი თავის მოჭრა და სირცხვილია!.. საქართველოს ყველა პატრიოტი პრინციპულად უნდა დაუპირისპირდეს ჩვენი სამშობლოს გაპედარასტების მიზანმიმართულ და კარგად ორგანიზებულ კამპანიას!.. თუ ჩვენ დავუშვით და შევეგუეთ რუსთველის გამზირზე პედარასტებისა და ლეზბოსელების თარეშს, თუ ჩვენ თვალი დავხუჭეთ პედარასტიის აშკარა პროპაგანდაზე, მაშინ სულ მალე მომდევნო საფეხურზე ,,აგვამაღლებენ'', რასაც ერთსქესიანთა ქორწინებისა და გეი-ოჯახებისთვის ბავშვების აყვანის უფლების დაკანონება ჰქვია!"*
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/980/980.pdf

## ერთსქესიანთა ქორწინების თემა საარჩევნო დისკურსში

ქრისტიან-დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი თარგამაძის ინიციატივა საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვების თაობაზე, რომელიც კონსტიტუციაში ტრადიციული ქორწინების დაკანონებას ითვალისწინებს და თავად თარგამაძის განცხადებით, ერთსქესიანთა ქორწინების პრევენციას მოახდენს, ტელეკომპანიებმა საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ერთგვაროვნად გააშუქეს. ერთადერთი გამონაკლისი იყო "იმედის" 6 აგვისტოს 8 საათიანი საინფორმაციოს სიუჟეტი, სადაც საკითხის ინიციატორთა და პოლიტიკოსთა გარდა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და ლგბტ უფლებადამცველი ორგანიზაციის "იდენტობის" წარმომადგენლის პოზიცია იყო წარმოდგენილი.
http://www.myvideo.ge/?video_id=2109043

არცერთ მედია საშუალებას ბეგრაუნდში არ აღუნიშნავს, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება საქართველოში დღის წესრიგში არ დამდგარა და არცერთი ჯგუფი მსგავსი მოთხოვნით არ გამოსულა. ჟურნალისტებს ამ ჰიპოთეტურ საკითხზე შეკითხვა არც თავად ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვის ინიციატორისთვის დაუსვამთ, რაც მაგალითია იმისა, თუ როგორ უკრიტიკოდ ახდენს მედია იმ საკითხების ტირაჟირებას, რასაც მას სთავაზობენ.

ამასთანავე ქობულეთში გამართულ შეხვედრაზე თავად გიორგი თარგამაძის მხრიდან დაუსაბუთებლად ხდება ერთსქესიანთა თემის დაკავშირება აფხაზეთსა და შიდა ქართლში დაღუპულ ქართველ მებრძოლებთან.

**გიორგი თარგამაძე, ქრისტიან-დემოკრატთა საპრეზიდენტო კანდიდატი:** *„დღევანდელ დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შევახსენოთ საკუთარ თავს თუ რისთვის დაიღუპნენ და რისთვის იბრძოდნენ მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენი თანამემამულეები არა მხოლოდ აფხაზეთში, შიდა ქართლში და საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. იბრძოდნენ არა მხოლოდ თავიანთი ოჯახების არამედ ეროვნული ღირსების გადარჩენისთვის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის.“*
http://www.myvideo.ge/?video_id=2113413

**მაესტრო, ახალი ამბები 9-ზე**
http://www.myvideo.ge/?video_id=2118167
http://www.myvideo.ge/?video_id=2112497

**საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე**
http://www.myvideo.ge/?video_id=2109030
http://www.myvideo.ge/?video_id=2111788
http://www.myvideo.ge/?video_id=2112413

**იმედი, ქრონიკა, 6, 10, 12, 14 აგვისტო**
http://www.myvideo.ge/?video_id=2110970
http://www.myvideo.ge/?video_id=2112393

**კავკასია, დღეს**
http://www.myvideo.ge/?video_id=2120885

**რუსთავი 2, კურიერი**
http://www.myvideo.ge/?video_id=2120882
http://www.myvideo.ge/?video_id=2115586
http://www.myvideo.ge/?video_id=2114937



ქდმ-ს აქცია "არა - ერთსქესიან ქორწინებას"

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 6 აგვისტო**
გადაცემის წამყვანის ნინო რატიშვილის შეკითხვაზე - პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ერთსქესიანთა ქორწინება დღის წესრიგში არ დგას - გიორგი თარგამაძემ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

**გიორგი თარგამაძე, ქრისტიან-დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატი:** *"ქვეტექსტი იყო ასეთი: ჩვენ ჯერ-ჯერობით კულტურული განვითარების დონით არ ავმაღლებულვართ იმ დონემდე, რომ ამ მასშტაბის სამოქალაქო თავისუფლებებს შევეჭიდოთ. ჩემთვის ეს არ არის სამოქალაქო თავისუფლების ნაწილი."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2110056

რესპონდენტი 17 მაისს განვითარებული მოვლენების დროს სამღვდელოების ქმედებებსაც აფასებს და სექსუალურ უმცირესობებს საფრთხედ წარმოაჩენს.

**გიორგი თარგამაძე:** *"რატომ აიღო ქართულმა სამღვდელოებამ თავის თავზე ეს არც თუ ისე მსუბუქი მისია?.. იმიტომ რომ ზოგი ქვეცნობიერად და მათი უმეტესობა აბსოლუტურად გაცნობიერებულად ამჩნევს , ხედავს და აფასებს ამ საფრთხეს."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2110071

ბიულეტენი №16



**გიორგი თარგამაძე, ქრისტიან-დემოკრატები:** *"რატომ აიღო ქართულმა სამღვდელოებამ თავის თავზე ეს არც თუ ისე მსუბუქი მი-სია [17 მაისზე]?.. იმიტომ რომ ზოგი ქვეცნობიერად და მათი უმეტესობა აბსოლუტურად გაცნობიერებულად ამჩნევს , ხედავს და აფასებს ამ საფრთხეს [ჰომოსექსუალობას]."*

## რასისტული გამოხატვა

[კვირის ქრონიკა, 12-18 აგვისტო]

თამარ ოქრუაშვილი, ჟურნალისტი: *“ამ დროს ლურჯმა ზანგმა ჩაგვიარა და ქართულად გვითხრა, “გამარჯობა!”*

*შენი გამარჯობა კი მოვტ…ან, შენი! - მშვიდად პასუხობს ჩემი გულივით მოხუცი. - ესენი ვინ ჩამოგვიყარა? მიშამ და მაგისმა ხალხმა, არა? ისევ მაგ კანდელაკმა [გიორგი კანდელაკი, პარლამენტის წევრი]. ამათი სამშობლო გახდა ეს ჩვენი ქვეყანა.”*

[ასავალ-დასავალი, 12-18 აგვისტო]

ინფორმაციაში, რომელიც კამერუნის მოქალაქის საქართველოში დაპატიმრებას შეეხება, ჟურნალისტი შეურაცხმყოფელ ტერმინს “ზანგს” იყენებს.

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *“სააკაშვილის რეჟიმმა ზანგიც კი უსამართლოდ გაასამართლა”.*
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/982/982.pdf

თამარ ოქრუაშვილი, ჟურნალისტი: *“ამ დროს ლურჯმა ზანგმა ჩაგვიარა და ქართულად გვითხრა, “გამარჯობა!”*

*შენი გამარჯობა კი მოვტ…ან, შენი! “…*

## ეთნიკური უმცირესობები

[საზოგადოებრივი მაუწყებელი და რუსთავი 2, 10 აგვისტო]

ორივე ტელეკომპანიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ეთნიკური დაპირისპირების სახით არის წარმოდგენილი ყვარლის რაიონის სოფელ თივისა და მთისუბნის აჭარელ ეკომიგრანტებსა და ეთნიკურ დაღესტნელებს შორის არსებული კონფლიქტი სხვადასხვა ყოფით საკითხებზე (ღორის მოშენება, ტრაფარეტის აღმართვა), ასევე ჯვრის აღმართვის ადგილის შერჩევაზე. “მოამბის” წამყვანი სიუჟეტის წარდგენისას სხვა მოტივებთან ერთად კონფლიქტის რელიგიურ საფუძველსაც უსვამს ხაზს, რაც ვითარების მეტად გამძაფრებას უწყობს ხელს და სასურველი იყო წამყვანი მგრძნობიარე თემის გაშუქებისას, მხოლოდ მხარეთა პრეტენზიების გადმოცემით შემოფარგლულიყო. “მოამბის” სიუჟეტში ასევე აღნიშნულია, რომ საკითხის მოგვარებაში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრიც ჩაერთო, თუმცა სამინისტროს პოზიცია მასალაში წარმოდგენილი არ არის.
http://www.myvideo.ge/?video_id=2111019
http://www.myvideo.ge/?video_id=2115583

[ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 აგვისტო]

გია მაისაშვილი: *“იქ არის ქართველების სახლი ხომ გაძარცვეს, ახლა გაძარცვაზე და ქურდობაზე ორიენტირებული ერი [საუბრობს რუსეთ-საქართველოს ომზე]”…*
http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=13201

### ანტიამერიკული განწყობები

[ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 აგვისტო]

მაყურებელი, სატელეფონო ჩართვა: *“ამერიკის ისტორიას თუ გადავხედავთ, ადგილობრივები ამოხოცეს და მერე ევროპიდან ჩასახლდნენ და აფრიკიდან ჩაიყვანეს ზანგები, რამდენიმე შტატშია თუ არ ვცდები ადგილობრივი ინდიელები… ჩვენ დიდი ისტორია გვაქვს და ვერ დაგვაბრმავებენ, ვერანაირად. ისეთ რაღაცეებს გვიბედავენ, წაიყვანონ თვითონ ახალაია წაიყვანონ, ბატონო… ვანო მერაბიშვილიც თანაც ცოცხებსაც გავატანთ.”*
http://www.myvideo.ge/?video_id=2115104

### ანტითურქული განწყობები

[ასავალ-დასავალი, 29 ივლისი-4 აგვისტო]

ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი: *“გარდა ამისა, გიული ალასანიას და ფუთულაჰ გიულენის მფლობელობაში მყოფი სასწავლებლებიდან ქართველი ბავშვები მიჰყავთ თურქეთში, სადაც ასწავლიან, რომ საქართველო თურქეთის ნაწილია, უბრალოდ. ქართველებმა რუსების დახმარებით წავართვით თურქებს.*

*დიახ, მაგალითად, აჭარა და სამცხე-ჯავახეთი რომ თითქოს თურქეთის ნაწილია, ამის შესახებ სახელმძღვანელოები იბეჭდება თურქეთში.*

გაგრძელება გვ. 6

## ეთნიკური უმცირესობები

*...ამ ბავშვებს თურქეთის მედრესეებში მისცეს განათლება და ჩამოიყვანეს უკან. ანუ, რეალურად, საქართველოში მოამზადეს თურქული იდეოლოგიით აღზრდილი, თურქეთის ინტერესების მატარებელი კასტა!.. დიახ, რადიკალური ისლამისტების ფულით საქართველოში იხსნება არამარტო უმაღლესი სასწავლებლები, არამედ სკოლები და საბავშვო ბაღებიც კი და ამ ყველაფერს გიული ალასანია აკონტროლებს. "*
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/980/980.pdf

ასავალ-დასავალი, 12-18 აგვისტო

ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება: *"სააკაშვილმა ფართოდ გაუღო აჭარის კარი თურქებს და პირდაპირ წაალეკინა იქაურობა!*

*სააკაშვილი ისეთი გამეცადინებულია საქართველოში თურქული ექსპანსიის მეგზურობაში, რომ აჭარა არ იკმარა და დედმისისი - გიული ალასანიას აქტიური ხელმძღვანელობით, მთელ ქვეყანაში გაახსნევინა თურქული ბაღები, სკოლები თუ უნივერსიტეტები!"*

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *"სხვათაშორის, ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში ამ რამდენიმე დღის წინათ თურქეთიდან ჩამოტანილი 24 მეტრიანი მინარეთი მიუდგეს იქაურ მეჩეთს!"*

ელიზბარ ჯაველიძე: *"დიახ, ბატონო, თურქეთი მხოლოდ აჭარაზე კი არა, სამხრეთ საქართველოს ათვისებაზეც ოცნებობს."*
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/982/982.pdf

ბიულეტენი №16

ასავალ-დასავალი, 29 ივლისი-4აგვისტო

გიორგი ბურჯანაძე, ანტიკორუფციული კავშირი: *"სექსმუშაკებმა თავისი საქმე თურქეთში გააკეთეს, ახლა უფასო მონების დრო დადგა. თურქეთში სერიოზული ნადირობაა ქართველ მამაკაცებზე, როგორც იაფ მუშახელზე."*
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/980/980.pdf

## მიწის საკუთრების შეზღუდვა მოქალაქეობის ნიშნით

იმედი, ქრონიკა, 3 აგვისტო

სიუჟეტი შეეხება იუსტიციის ყოფილი მინისტრის მოადგილის თინა ბურჯალიანის სტატიას უცხოელებზე მიწის გასხვისებაზე მორატორიუმის გამოცხადების ანტიკონსტიტუციურობის თაობაზე და ამ კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შექმნილი პრეცედენტს. დარგობრვივი ეკონომიკის პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ბურჯალიანის შეფასებებს კანონმდებლობის არასწორ ინტერპრეტაციად აფასებს.
http://www.myvideo.ge/?video_id=2107176
http://www.myvideo.ge/?video_id=2107174

რუსთავი 2, კურიერი, 3 აგვისტო

კობა დავითაშვილი, საპრეზიდენტო კანდიდატი: *"ვაპირებ, რომ ინიციატივით გამოვიდე, რომ კონსტიტუციაში შევიდეს ცვლილება და სასოფლო-სამეურნეო მიწაზე კერძო საკუთრება, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ. ანაზრების გასტუმრება მოხდეს, სწორედ მიწის ნაკვეთებით, რომ არა ინდოელების, ჩინელების თუ ეგვიპტელების ხელში იყოს ქართული მიწა არამედ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ხელში."* http://www.myvideo.ge/?video_id=2109916

ასავალ-დასავალი, 5-11 აგვისტო

დავით ისაკაძე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი: *"სასწრაფოდ მისახედი და შესაჩერებელია ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისების ტენდენცია... თუ სასწრაფოდ არ შეიქმნა მიწის გასხვისებისგან დამცავი მყარი მექანიზმი, ჩვენივე სამშობლოში მალევე სტუმრებად ვიქცევით!"*

რეზონანსი, 5 და 29 აგვისტო

გაზეთი, სათაურით "მიწა ქართველი ერის საკუთრებაა" აქვეყნებს საქართველოს სოფლების აღორძინების ფონდის თავმჯდომარის ელენე კახნიაშვილის მიმართვას ხელისუფლებისადმი, რომელიც მიწის ნაციონალიზაციას მოითხოვს და დაუსაბუთებელ პარალელებს ავლებს იუგოსლავიის დაშლასა და მიწის უცხოელებზე გასხვისებას შორის.
http://resonancedaily.com/index.php?id_rub=7&id_artc=16671

გაზეთი აქვეყნებს ყოფილი პარლამენტარების წერილს, რომელიც უცხოელებზე მიწის გასხვისებას ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელად მიიჩნევს.
http://resonancedaily.com/index.php?id_rub=7&id_artc=16583

## რელიგია

I არხი, მოამბე, 31 ივლისი

სიუჟეტი შეეხება ბოლნისის გამგებლის მოადგილის ხალიდან ისმაილოვის ბრალდებას, რომ საკრებულოს თანამშრომლებმა მას ფიზიკურ შეურაცხყოფასთან ერთად რელიგიურ ნიადაგზე შეურაცხყოფაც მიაყენეს. სიუჟეტში ყველა მხარის პოზიციაა წარმოდგენილი.
http://www.myvideo.ge/?video_id=2105226

კვირის პალიტრა, 29 ივლისი-4აგვისტო

ტელეკომპანია "იმედის" მსგავსად (იხილეთ MDF -ის განცხადება "ქრონიკის" სიუჟეტზე), "კვირის პალიტრის" მიერ მომზადებულ მასალაში ბათუმში მომხდარ მარიამ კოჩალიძის მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელშიც ბრალი ირანის მოქალაქეს ედება, ერთ-ერთ მოტივად რელიგიური მსხვერპლშეწირვაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ვერსია, რომელიც გარდაცვლილის ნათლიას ეკუთვნის და ემოციურ ფონზეა გაკეთებული, ზოგადად ირანელთა მიმართ ქსენოფობიურ განცხადებასაც შეიცავს.

> ნატო კვინტრაძე, მარიამ კოჩალიძის ნათლია: *"მოვითხოვთ, არც ერთი ირანელი არ შემოვიდეს საქართველოში... მარიამი წმინდა ქრისტიანი იყო. ვფიქრობთ, მკვლელმა შეიწირა მსხვერპლად."*

ცხადია, ნებისმიერ ვერსიას აქვს არსებობის უფლება, თუმცა ჟურნალისტმა ემოციურ ფონზე გაკეთებული განცხადებების პირდაპირი ტირაჟირებისგან თავი უნდა შეიკავოს და გონივრული ზომები მიიღოს მსგავსი ვარაუდების გადასამოწმებლად, მათ შორის მიმართოს გამოძიების ოფიციალურ ორგანოებს.
http://www.kvirispalitra.ge/justice/18103-mariam-kochalidze-mkvlels-icnobda.html

მაესტრო, ახალი ამბები 9ზე, 10 აგვისტო

მნიშვნელოვანია, რომ სამთაწყაროში მუსლიმთა ლოცვის თემით "მაესტრო" არა მხოლოდ ინცდენტების დროს ინტერესდებოდა, არამედ კახეთის საინფორმაციო ცენტრზე დაყრდნობით, მცირედი სინქრონი მოამზადა იმის შესახებ, რომ 9 აგვისტოს შემდეგ სოფელში ლოცვები აღარ ჩატარდებოდა. მოყვანილია მუსლიმთა სამმართველოს მუფთის მოადგილის ადამ შანთაძის სიტყვები, რომ ზეწოლისა და მუქარის ფაქტების გამო, სამთაწყაროელი მუსლიმები სამლოცველო სახლში სალოცავად აღარ გადიან.
http://www.myvideo.ge/?video_id=2111043

ასავალ-დასავალი, 12-18 აგვისტო

ჟურნალისტი გიორგი გიგაური გაზეთ „სამხრეთ კარიბჭეზე" დაყრდნობით აღწერს ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში მეჩეთზე მინარეთის დამონტაჟებასთან დაკავშირებულ კონფრონტაციას. მოყვანილია ზარზმის მონასტრის წინამძღვრის სიტყვები:

> ნიკოლოზ გეწაძე, ზარზმის მონასტრის წინამძღვარი: *"ირანია აქ, რომ ზარზმის მონასტერში ყურში ჩამყვირონ მინარეთიდან?! თურქეთში ჩვენი ტაძრებია და უწმინდესმა შეთანხმებას კიდევ ვერ მიაღწია რიგ საკითხებზე და ახლა სურთ, აქ ტაში დაუკრათ და თვალი დავხუჭოთ მათ საქციელზე?!"*

აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით, ჟურნალისტი საქართველოში თურქეთის ექსპანსიაზე უსაფუძვლო განზოგადებას აკეთებს და ანტითურქულ განწყობებს აღვივებს.

> გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *"არც იმაზე ღირს თვალის დახუჭვა, რომ ჩვენი მეზობელი თურქეთი ძალასა და ფულს არ ზოგავს საქართველოში რელიგიური ექსპანსიისთვის. როგორც ხედავთ, ჩვენს მეზობლებს უკვე ერთობ ხელსაყრელი და სარფიანი „მობილური მინარეთების" ბიზნესიც კარგად აუწყვიათ!"*

თავად სტატიის სათაური "დაგიდგამთ 24-მეტრიან მინარეთს სწრაფად და იაფად, ანუ ვინ აღვივებს რელიგიურ კონფლიქტს ადიგენში?!" შეურაცხმყოფელია საქართველოს მუსლიმი მოქალაქეების მიმართ.
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/982/982.pdf

### რამაზან-ბაირამი

პოზიტიურია, რომ მაესტრომ და იმედმა რამაზბაირამთან დაკავშირებული ღონისძიებები საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გააშუქეს.

მაესტრო, ახალი ამბები 9-ზე, 29 ივლისი

"ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის მილოცვა ბოლნისის მოსახლეობას.
http://www.myvideo.ge/?video_id=2104027

იმედი, ქრონიკა, 1 აგვისტო

თბილისის მერის გიგი უგულავას მილოცვა ბააზოვის ქუჩაზე მცხოვრებ აზერბაიჯანელი მოსახლეობისადმი.
http://www.myvideo.ge/?video_id=2111783

ასავალ დასავალი

**გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** *"არც იმაზე ღირს თვალის დახუჭვა, რომ ჩვენი მეზობელი თურქეთი ძალასა და ფულს არ ზოგავს საქართველოში რელიგიური ექსპანსიისთვის. როგორც ხედავთ, ჩვენს მეზობლებს უკვე ერთობ ხელსაყრელი და სარფიანი „მობილური მინარეთების" ბიზნესიც კარგად აუწყვიათ [ადიგენის სოფელ ჭელას მინარეთზე]!"*

## სექსუალური უმცირესობები

**კვირის ქრონიკა, 12-18 აგვისტო**

გელა ზედელაშვილის სტატია “რატომ უჩივიან ჯანდაცვის მინისტრს ლგბტ-ს დამცველები?” საკონსტიტუციო სასასამართლოში შეტანილ სარჩელს შეეხება, რომლითაც უფლებადამცველები ჯანდაცვის სამინისტროს იმ ბრძანების ბათილად ცნობას ითხოვენ, რომელიც ჰომოსექსუალთა მხრიდან სისხლის დონაციას ზღუდავს. სტატია მთლიანად ჰომოფობიურია და იგი ჰომოსექსუალობის ავადმყოფობად წარმოჩენას ცდილობს.

**კვირის ქრონიკა, 29 ივლისი- 4აგვისტო**

სტატია შეეხება ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის რეზოლუციას, რომლის თანახმადაც, ფსიქოთერაპევტებს ჰომოსექსუალობის განკურნების რეკომენდაციების მიცემა ეკრძალებათ, რასაც ჟურნალისტის ჰომოფობიური შეფასება მოსდევს:

> მიხეილ სახვაძე, ჟურნალისტი: *”ანუ, დაარწმუნონ [ჰომოსექსუალი პაციენტები], რომ ჰომოსექსუალიზმი არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს და რომ ისინიც საზოგადოების ჩვეულებრივი წარმომადგენლები არიან. ჰოდა, თუკი სოდომისა და გომორის ბედი გავიზიარეთ, შემდეგ უკვე აღარაფერი უნდა გაგვიკვირდეს!”*

**ასავალ-დასავალი, 29 ივლისი- 4 აგვისტო**

გაზეთი აქვეყნებს ,,საქინფორმის’’ მთავარი რედაქტორის არნო ხიდირბეგიშვილის მიმართვას საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე და მოითხოვს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისა და მართლმადიდებლობის, ჰეტეროსექსუალებისა და არასრულწლოვანი ბავშვების უფლებების შელახვის, მის მიერ ინტერპრეტირებული ფაქტზე, საქმე ტელეკომპანია რუსთავი 2-ის წინააღმდეგ აღიძრას. საქმის აღძვრის საფუძვლად კი წერილში რუსთავი 2-ის დილის ეთერში გასული MTV-ის Room Raider-ის გადაცემის თარგმანის გასვლაა, რომელშიც საქინფორმის აზრით, ჰომოსექსუალობის აგიტაცია ხდება.

> არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმი: *“ეს ყველაფერი მათი [ჰომოსესუალების] ამაზრზენი ნატურალისტური ჟესტების თანხლებით ხდებოდა.”*
> http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/980/980.pdf

**ასავალ-დასავალი, 29 ივლისი- 4აგვისტო**

> გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *“თუმცა, საკაშვილის ნაციონალურ მოძრაობასა’’ და ლგბტ მოძრაობას შორის კავშირი და იდენტობა იმდენად აშკარაა, რომ ამას რაღაც ვიდეოფაილების წაშლით ნამდვილად ვერ წაშლი!.. დაიხ, სწორედ, სააკაშვილის ,,ნაცმის’’ მიერ არის მოწყობილი 17 მაისის პროვოკაცია, რომელიც იმისთვის იყო დაგეგმილი, რომ აღშფოთებულ და შეურაცხყოფილ ქართველობას იმ დღეს რუსთაველის გამზირზე, რომელიღაც პედარასტი შემოკვდომოდა და შემდეგ ,,ნაცებს‘’ მთელი მსოფლიოს გასაგონად ეკივლათ, ნახეთ რა ჰომოფობიური ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის მმართველობაშიო!..*
>
> *იმედია, ლესბოსელები არ გვიწყენენ, თუ მათი კუთვნილი ადგილი აბრევიატურაში ,,ლგბტ’’ ამიერიდან ნაციონალებით შეიცვლება და ნგბტ ასე გაიშიფრება - ნაციონალები, გეები, ბისექსუალები და ტრანსექსუალები!”*
> http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/980/980.pdf

**ასავალ-დასავალი, 29 ივლისი- 4 აგვისტო**

> გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *“17 მაისს რუსთაველის გამზირზე საქართველოს გაპედარასტების წინააღმდეგ გამოსული 100 ათასამდე ქართველი და სულ ცოტა, სახლში დარჩენილი კიდევ 20 იმდენი ადამიანი ბიძინა ივანიშვილისგან პასუხს ელის ერთ მარტივ კითხვაზე: როგორ უნდა აგვიხდინოს მან ქართული ოცნება ანტიქართულ, ქართველთმოძულე რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად?!”*
> http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/980/980.pdf

**კვირის პალიტრა, 29 ივლისი- 4 აგვისტო**

> გივი სიხარულიძე, მსახიობი: *“ქალს რომ მოთხოვ, მოწმობა მომეცი, ქალიშვილი ხარ თუ არაო, ქუჩაში უნდა გამოაკრან შენი სურათი, როგორც "პედერასტის"... სამწუხაროდ, იმ ქვეყანაში, სადაც კაცს კაცი მოჰყავს ცოლად და ქალს ქალი, აღარაფერი მიკვირს. ასეთ გახრწნილ სამყაროში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და რაღა უნდა გაგიკვირდეს?!..*
>
> *შემირცხვენია ის ერი, სადაც 17 მაისს გეი აღლუმის წინააღმდეგ გამოსულ მღვდლებს საპატიმროებისკენ უბიძგებენ და ცისფერები გალაღებული დაეთრევიან. ახლა კიდევ ახალი სიმახინჯე მოგვახვიეს თავს...*

ბიულეტენი №16

არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმი: *“ეს ყველაფერი მათი [ჰომოსესუალების] ამაზრზენი ნატურალისტური ჟესტების თანხლებით ხდებოდა.”*

## სექსუალური უმცირესობები

*მე თუ მკითხავთ ვაჟიშვილობის მოწმობა უნდა შემოიღონ, რადგან პედერასტებით გაივსო მთელი ქვეყანა... ცისფერებს და გადაგვარებულებს ვერაფერი ვერ შეაშინებთ. ისინი შეაშინებენ ცოტა ხანში სამყაროს"...*
http://www.kvirispalitra.ge/public/18030-givi-sikharulidze-qme-thu-mkithkhavth-vazhishvilobis-motsmobac-unda-shemoighon-pederastebith-gaivso-qveyanaq.html

კვირის ქრონიკა, 29 ივლისი- 4აგვისტო

კახა მიქაია, დაიცავი საქართველო: *"ახალაია და მისი ამფსონები თხებს, ძროხებს, ღორებს, მამაკაცებს აუპატიურებდნენ, ესენი არიან პოლიტიკური გეები. მეტიც, „ნაციონალური მოძრაობა" - ეს არის პოლიტიკური „ელგებეტეები".*

კვირის ქრონიკა, 12-18 აგვისტო

გიორგი კორკოტაშვილი, რადიოწამყვანი: *"რა ლგბტ აუტყდათ ვერ გავიგე?! მათ კანონი უნდა უკრძალავდეთ აღლუმის ჩატარებას. როგორ შეიძლება მთავრობის წევრები მათ პოპულარიზაციას უწყობდნენ ხელს?! უზნეობას როგორ შეიძლება გაუწიო პოპულარიზაცია?!.. თუ ნებას მომცემენ, მივალ მერიაში, გიგი უგულავასთან და ვთხოვ ლგბტ-ს გლდანის ნაგავსაყრელზე გამოუყოს ტერიტორია, სადაც იაღლუმებენ".*

ასავალ-დასავალი, 5-11 აგვისტო

დავითი ისაკაძე, დეკანოზი: *"ჩვენ უკვე დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება ისეთი მსვლელობების კანონის დონეზე აკრძალვის მოთხოვნით, რომლებიც უზნეობის დემონსტრირებას ახდენენ... ასეთი მსვლელობები, რომლის ანალოგი 17 მაისს თბილისში სურდათ მოეწყოთ, არის პრელუდია, რომ შემდეგ ერთსქესიანთა ქორწინებისა და ინცესტის დაკანონებაც მოითხოვონ!.. თუ ხელისუფლება ეროვნულად აზროვნებს, ოჯახების შექმნა-განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი და არა ორგიებისა და გარყვნილების რეკლამირებას."*
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/981/981.pdf

### ანტიდასავლური განწყობები

ობიექტივი, ღამის სტუდია, 1 აგვისტო

მაყურებელი, სატელეფონო ჩართვა: *"მე დასავლეთის ფასეულობა ვერ გავიგე, 9 წლის ბავშვს ევროპაში, აჩვევენ, როგორ წარმართოს თავისი სქესის წარმომადგენელთან სიყვარული თუ განწყობა… როცა შვეიცარია, დასავლეთი, ასევე, იღებს ინცესტს… ამ ფასეულობით საქართველო ვერ იცხოვრებს და საერთოდ, პარტია, რომელიც იტყვის, დასავლეთისკენ მიდის ჩვენი გზა, ის არის საბოლოოდ განწირულია ხალხისაგან."*

დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: *"გარკვეული ჯგუფები ადამიანებისა, ცდილობენ, მსოფლიოს თავს მოხვიონ აი, ეს ახალი, რაღაცა გაუგებარი მორალი... მაგრამ ეს არ არის ზოგადად, დასავლური ფასეულობა... ადამიანები, რომლებიც აი, ამ ბოროტ და სრულიად მავნე ზნეობრივ ნორმებს და იდეოლოგიის დანერგვას ცდილობენ საქართველოში. ნაცმოძრაობა ეს არის პროთურქული ორგანიზაცია."*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=13110



გიორგი კორკოტაშვილი, რადიოწამყვანი: *"რა ლგბტ აუტყდათ ვერ გავიგე?! მათ კანონი უნდა უკრძალავდეთ აღლუმის ჩატარებას. როგორ შეიძლება მთავრობის წევრები მათ პოპულარიზაციას უწყობდნენ ხელს?! უზნეობას როგორ შეიძლება გაუწიო პოპულარიზაცია?!.. თუ ნებას მომცემენ, მივალ მერიაში, გიგი უგულავასთან და ვთხოვ ლგბტ-ს გლდანის ნაგავსაყრელზე გამოუყოს ტერიტორია, სადაც იაღლუმებენ".*

## გენდერული თემატიკა

მაესტრო, იმედი, მე-9 არხი, 30 ივლისი

ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის პროტესტი ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს წინააღმდეგ, რომელიც ქალიშვილობის დადგენის მიზნით ექსპერტული ცნობების გაცემას შეეხება, ტელეკომპანიებმა მაესტრო, იმედი და მე-9 არხი საღამოს მთავარ გამოშვებებში გააშუქეს. ჯგუფი ქალის უფლების დარღვევის ინსტიტუციონალიზაციას აპროტესტებდა.

იმედის და მე-9 არხის სიუჟეტებში სხვა მოსაზრებებთან ერთად წარმოდგენილია ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარის კომენტარი, რომელიც გენდერული ნიშნით დისკრიმანაციას შეიცავს.

ზაქარია ქუცნაშვილი, ქართული ოცნება: *„მე ვფიქრობ, რომ აქ მთავარ ცნობას გასცემს მეუღლე. ეს არის მთავარი ცნობის გამცემი პირი, მეუღლე. ამიტომაც, თუ მეუღლე, როგორც მთავარი*

გაგრძელება გვ. 10

![MDF]

მედიის განვითარების ფონდი

ალ.ჭავჭავაძის №54,
მე-5 სად. მე-4 სართული.
ქ.თბილისი, საქართველო, 0179

ტელ/ფაქსი: (+99532) 2 22 00 16

ელ.ფოსტა: info@mdfgeorgia.ge
mdfgeo@gmail.com

WWW.MDFGEORGIA.GE

Find us on Facebook

www.facebook.com/pages/მედიის-განვითარების-ფონდი-MDF-Media-Development-Foundation/275686875901735

## MDF-ის განცხადება "ქრონიკის" 1 აგვისტოს სიუჟეტთან დაკავშირებით

დასაწყისი გვ. 2

თანახმად, „პროგრამა ან სიუჟეტი მიკერძოებული იქნება, თუ ის არ მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, აგებულია უმნიშვნელო ფაქტებზე, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად შეჰყავს აუდიტორია შეცდომაში, შენიღბული სახით გამოხატავს მიკერძოებული პირის მოსაზრებებს." რედაქციას არ მიუღია გონივრული ზომები, ფაქტების სიზუსტის გადასამოწმებლად. რელიგიური მოტივით ჩადენილი დანაშაული საქართველოს კანონმდებლობით დამამძიმებელი გარემოებაა, თუმცა, ჟურნალისტს გარდაცვლილის მშობლის მიერ მიწოდებული ვერსია ოფიციალურ გამოძიებასთან არ გადაუმოწმებია, მან კომენტარისათვის რატომღაც, გარდაცვლილის ნათლიას მიმართა. ქცევის კოდექსი ავალდებულებს მაუწყებელს, ინფორმაცია ორ ურთიერთდამოუკიდებელ წყაროსთან გადაამოწმოს: „როგორც წესი, მაუწყებელი არ უნდა დაეყრდნოს ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროს და სხვა წყაროებიდანაც უნდა მოიძიოს ინფორმაცია." ბუნებრივია, ის ემოციური მდგომარეობა, რომელიც გარდაცვლილის ოჯახის წევრებს აქვთ, თუმცა მედია ასეთ ფონზე გაკეთებულ განცხადებებს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს და მხოლოდ ფაქტების გადამოწმების შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება მსგავსი მგრძნობიარე თემების გაშუქებაზე, რათა ნებით თუ უნებლიეთ არ შეიყვანოს აუდოტორია შეცდომაში. ამასთანავე იმედის საინფორმაციო სამსახურმა დაარღვია კოდექსის 31-ე მუხლი, რომლის თანახმად, „მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას" რელიგიური კუთვნილების ნიადაგზე, და ასევე, 33-ე მუხლი. 33-ე (1) მუხლის მიხედვით, „მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან". იმედის შემთხვევაში კი სიუჟეტის ანონსში ინციდენტი რელიგიურ კონფლიქტად იყო სრულიად დაუსაბუთებლად შეფასებული.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის არაერთი დებულების დარღვევის გამო, მიგვაჩნია, რომ ტელეკომპანია „იმედის" რეაგირება „ქართველ მუსლიმთა კავშირის" მიმართვაზე არასაკმარისია. მოვუწოდებთ მედია საშუალებას:

- ქცევის კოდექსის მე-13(3) მუხლის შესაბამისად, მოახდინოს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომის შესწორება ღიად და დაუყოვნებლივ, თანაზომადი საშაულებებითა და ფორმებით, სათანადო საეთერო დროს.

მივმართავთ მაუწყებლებს:

- მეტი სიფრთხილით მოეკიდნონ მგრძნობიარე თემების გაშუქებას და დაიცვან მაუწყებელთა ქცევის კოდექსის ნორები, რომელთა მიზანია, მაუწყებელი „თანაბარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობისა და ადამიანური ღირებულებების დასაცავად, საზოგადოებრივი თანხმობისა და ტოლერანტობის განსამტკიცებლად".
  http://imedi.ge/index.php?pg=prs&id_pr=619&id=20; http://www.myvideo.ge/?video_id=2106416

### გენდერული თემატიკა

დასაწყისი გვ. 9

*ცნობის გამცემი, დაინტერესებულია იურისტების და ექსპერტების ჩარევაში, აქ მას ვერ დავუშლით. ასე, რომ შევხედოთ ამ საკითხს უფრო მსუბუქად."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2106419
http://www.tv9.ge/?l=G&m=1&sid=0&id=5370
http://www.myvideo.ge/?video_id=2104161

### კვირის პალიტრა, 29 ივლისი- 4 აგვისტო

დისკრიმინაციულია ჟურნალისტის მიდგომა ექსპერტიზის ბიუროს მიერ ქალიშვილობის მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით შეკითხვის ფორმულირებისას, როცა ის ისეთ ტერმინს იყენებს, როგორიცაა "საეჭვო წარსულის გოგოები".

**მანანა გაბრიჭიძე, ჟურნალისტი:** *"ისიც მომხდარა რომ საეჭვო წარსულის გოგონების ცოლის უმანკოებაზე გამეცადინებული მომავალი მეუღლეები მოუტყუებიათ. არც ამ შემთხვევაშია მოწმობა საჭირო თქვენი აზრით?"*
http://www.kvirispalitra.ge/public/18030-givi-sikharulidze-qme-thu-mkithkhavth-vazhishvilobis-motsmobac-unda-shemoighon-pederastebith-gaivso-qveyanaq.html

### I არხი, მოამბე, 6 აგვისტო

პოზიტიურია "მოამბის" დაინტერესება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქალთა პრობლემებით და ამ თემაზე ერგნეთიდან და ხურჩადან მომზადებული რეპორტაჟი.
http://www.myvideo.ge/?video_id=2109025